საკონკურსოდ შევარჩიეთ დავით კლდიაშვილის ნაწარმოები „სამანიშვილის დედინაცვალი“ , რომელიც ერთდროულად ასახავს რამდენიმე ოჯახის ეკონომიკურ  მდგომარეობას და ყველაზე მთავარს, ქონების გაყოფის გამო შვილსა და მამას შორს წამოჭრილ პრობლემას.

აქტივობები, რომლებიც ნაწარმოების ფინანსური კუთხით გასააზრებლად განვახორციელე.

1. კონკურსის შესახებ მოსწავლეთან ინფორმირება და მათი დაინტერესება;
2. ნაწარმოების წაკითხვა/შინაარსის გაცნობა;
3. სკოლაში მოსწავლეებისთვის ქართული ფილმის „სამანიშვილის დედინაცვალის“ ჩვენება/ განხილვა;
4. დისკუსია თემაზე: „სამანიშვილების ქონებრივი გასაჭირი“
5. ნაწარმოების მიხედვით შედგენილი ონლაინ ქვიზის თამაში; https://www.proprofs.com/quiz-school/ugc/story.php?title=ndawodkwmq0qi0&fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR3tbyv4W62zNJxaUVGz2sy2xbVwo9jrsljxVeakx06ZFLH0JWwUONbTh0A_aem_ASrbZqJz3tf74LSA6v4oM9i3rH39EdrYkLNAXUOqh--hfPfm7CJxYgwTTd_m5rIpm0_86LOq-yRe5KfAzH4Sq4ez

6. კონკურსში მონაწილეობისთვის მოსწავლეების დაჯილდოება სერტიფიქატებით.

   სადისკუსიო კითხვები:
   1. როგორ ფიქრობთ, რამდენად აქტუალურია დღეს ის პრობლემა, რომლის შესახებაც ნაწარმოების ავტორი წერს?
   2. როგორ ფიქრობთ, შეეძლოთ თუ არა სამანიშვილებს თავიდან აეცილებინათ სიღარიბე და ქონებრივი დავის ოჯახური კონფლიქტი? (ვერსიები: გაეკეთებინათ დანაზოგი, გაძღოლოდნენ მეურნეობას, დაეგროვებინათ დოვლათ და ა.შ.)
   3. როგორ შეიძლებოდა გადაეწყვიტა მამა-შვილს მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემა, რომელიც ქონების გაყოფას უკავშირდებოდა?
   4. როგორ ფიქრობთ, რამდენად არის ხოლმე ოჯახური კონფლიქტების მიზეზი ფინანსური პრობლემები?
   5. გარდაუვალი იყო თუ არა მამა-შვილის ქონებრივი დავის ისე დასრულება, როგორც ეს ნაწარმოებშია მოცემული?
   6. რა დასკვნის გამოტანა შეგიძლიათ მსგავსი სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის შემდეგ?
   7. როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ მშობლებისგან ფინანსურად და ეკონომიკურად დამოუკიდებლები გახდეთ და მხოლოდ მათ მიერ ბოძებული ქონების/კაპიტალის იმედად არ იყოთ?

| დისკუსიის შეფასების რუბრიკა | დიახ | არა |
|---|---|---|
| ინფორმირებულია, იცის პრობლემის შინაარსი, თუ რის შესახებაც იმართება დისკუსია | | |
| ერკვევა ფინანსურ საკითხებში | | |

| | | |
|---|---|---|
| მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს | | |
| მსჯელობს არგუმენტირებულად | | |
| აკეთებს დასკვნებს | | |
| იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს (თვალით, ჟესტებით, ხმით) | | |
| პატივს სცემს განსხვავებულ აზრს და შეპასუხებისას არის კორექტული | | |

კონკურსისთვის შევადგინე ონლაინ ქვიზი  და მას მივაბი ჩემ მიერ canva.com -ის პლათფორმაზე შექმნილი სერტიფიკატი მოსწავლეების წასახალისებლად.

ქვიზის გაკეთების შემდეგ, ნებისმიერ მოსწავლე, მასწავლებელი შეძლებს სერტიფიქატის ამობეჭდვას და მასზე საკუთარი მონაცემების დატანას.

**აქტივობისთვის განკუთვნილი დრო: 2 კვირა**